

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №5

ქ.თბილისი

25.03.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი მაჩაბელი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი; სსდომის თავმჯდომარე;

მაია ჩიხლაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას“ დირექტორის მოადგილე, მედიცინის დოქტორი; საბჭოს მდივანი;

ნანა გაფრინდაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ზაზა მარუაშვილი - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;

ზაზა რუხაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;

მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - კონსულტანტი;

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ აფრასიმე - აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ნინო ბერელიძე - საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს კოორდინატორი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

პაატა ბრეკაშვილი;

თინათინ ჭინჭარაული;

თორნიკე გურული

ნინო ჯაფიაშვილი;

ნანა იაშვილი;

გიორგი გვალია

ლილი ხერუაშვილი;

თეა შაყულაშვილი;

რევაზ ხოფერია;

ზვიად როგავა

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

შალვა ჭკადუა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ნინო მოდებაძე - პროგრამის კოორდინატორი;

მაგდა დავითაშვილი - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

მანანა კველიშვილი - აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

მარად ბურდული - პროგრამის ხელმძღვანელი;

ალექსანდრე აფციაური - პროგრამის ხელმძღვანელი;

ნუგზარ ძამუკაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;

ეკა ონიკაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;

ნიკო სულხანიშვილი - აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

სერგო ვარდოსანიძე - რექტორი;

დიმიტრი ნადირაშვილი - დეკანი, პროფესორი;

თინათინ ფანცულაია - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;

ნოდარ პავლიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

თამარ ვეფხვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

დავით ზოსტოღანაშვილი - იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ლაპიაშვილი - ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი;

ნინო ფარსადანიშვილი - ევროპული კვლევების ინსტიტუტის თანამშრომელი;

მაია ადვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

სერგო ტეფნაძე - რექტორი;

ქეთევან დავითაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

გივი ლობჯანიძე - სამართლის ფაკულტეტის დეკანი;

ვალერი გოგალაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;

ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენლები:

გიორგი თურქია - პროგრამის ხელმძღვანელი;

ლევან ზარდალიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;

ჟანა ანთია - ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრის ხელმძღვანელი, მმართველობის სკოლა;

ნესტან ციციშვილი - სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;

მანანა გაბაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის მოადგილე.

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

თინათინ ღუდუშაური;

სოსო გოგილიძე;

ჯონი მწარიაშვილი;

ლელი ბიბილაშვილი;

ნათია კალაძე;

არჩილ ჯანგირაშვილი.

სხდომა დაიწყო 15:20 საათზე. საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავჯდომარისა და მისი მოადგილის არყოფნის გამო საბჭოს წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ირაკლი მაჩაბელი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრაქტიკოსი ექთნის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტყვევის (ტყის მჭრელი, ტაქსატორი) მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის ტექნიკოსის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის (ინგლისურენოვანი) სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფსიქოდიანოსტიკისა და კონსულტირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება ან ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა. ნანა გაფრინდაშვილმა გააკეთა თვითაცილება მე-6 საკითხთან დაკავშირებით, ხოლო ირაკლი მაჩაბელმა მე-14 საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულებასთან თანამშრომლობის გამო.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციას იცნობდნენ.

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
სწავლების ენა	
კვალიფიკაციის კოდი	
კრედიტების რაოდენობა	60

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა თეა შაყულაშვილმა, რომელმაც საბჭოს მოახსენა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით არსებითი ხასიათის შენიშვნები არ დაფიქსირებულა. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე უფრო სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა და შენიშვნის სახით არ დაუწერიათ, თუმცა, მათი გათვალისწინება მნიშვნელოვანი იყო. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- პროგრამით გათვალისწინებული კურსების დიდი ნაწილის სასწავლო მასალები თანამედროვეა, რელევანტურია და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა ზოგიერთი კურსის სასწავლო მასალებში გამოყენებულია სახელმძღვანელოები (მაგ. ფიზიკის სწავლების მეთოდის კურსში 1956, 1966 წლებში გამოცემული სახელმძღვანელოები), რომელთა განახლება მნიშვნელოვანია;

- სასურველია, გადაიხედოს უნივერსიტეტის შეფასებების წესი და პროფესორებს მეტი თავისუფლება მიეცეთ თითოეული კურსისათვის შესაბამისი და რელევანტური შეფასების ფორმების არჩევისათვის;

- უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შეფასება მოხდა გარდამავალ პერიოდში, როდესაც განათლების რეფორმის ფარგლებში ხდება მასწავლებლის სტანდარტის ცვლილება. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, მასწავლებლის ახალი სტანდარტის დამტკიცების შემდეგ, სასურველია, პროგრამის გადახედვა/განახლება მისი ახალ სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობისთვის. მისი თქმით, დაწესებულება მაქსიმალურად ორიენტირებული იყო ყოველგვარი ცვლილებისა და სიახლის გათვალისწინებაზე. ამჯერად აპირებდნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ყველა რეკომენდაციის გათვალისწინებას.

ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ მოძველებული ლიტერატურა ვალიდური ვერ იქნებოდა წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში, იმდენად, რამდენადაც ბევრი რამ შეიცვალა, მით უფრო, როდესაც საქმე ეხებოდა ფიზიკის სწავლების მეთოდებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ სილაბუსის ავტორი თანამშრომლობდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, მოიძია ახალი და აქტუალური ლიტერატურა შესაბამისი მიზნით და შეცვალა სახელმძღვანელო.

2.სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრაქტიკოსი ექთნის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	პრაქტიკოსი ექთანი
განათლების საფეხური	პროფესიული განათლების V საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	პრაქტიკოსი ექთნის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	
კრედიტების რაოდენობა	180

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა თეა შაყულაშვილმა, რომელმაც საბჭოს მოახსენა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა არსებითი ხასიათის შენიშვნები დააფიქსირა, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები და რეკომენდაციები:

- პროგრამის განხორციელების პროცესში, არცერთ კურსში, მათ შორის არც პრაქტიკის დონეზე (მაგ. „პრაქტიკა საავადმყოფოში - სანიტრის პოზიციაზე“ და სხვ.) არ მონაწილეობს ექთანი/პრაქტიკოსი ექთანი, ყველა სასწავლო კურსს, მათ შორის პრაქტიკისას წარმართავს, ან დაწესებულების აკადემიური პერსონალი, ან უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე მოწვეული სპეციალისტი. შესაბამისად, სასურველია პროგრამის კურსდამთავრებულისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამაში ჩართული იყვნენ შესაბამისი კომპეტენციის პირები;

- სასურველია, დაიხვეწოს სილაბუსებში სწავლის შედეგები და შესაბამისად, კომპეტენციების რუქა. ხშირ შემთხვევაში. რიგი კომპეტენციები (დასკვნის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები) ხელოვნურადაა გაწერილი და სხვადასხვა სილაბუსში ერთნაირია;

- სილაბუსებში პერმანენტულად მეორდება ტერმინები „სტუდენტი“, „პროფესორი“, რაც სავარაუდოდ, ტექნიკური შეცდომაა და სასურველია, შეიცვალოს ტერმინებით: „პროფესიული სტუდენტი“ და „პროფესიული მასწავლებელი“;

- მიზანშეწონილია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მიეთითოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაცია - „პროფესიული ტესტირების“ გავლა, რაც მეტად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების გამჭვირვალობასა და შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას;

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის, ბრძანება №121/ნ-თან - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ - შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სასურველია კურსების სილაბუსებში კრედიტის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში ჩაითვალოს პუნქტებად: ლექცია/სამუშაო ჯგუფი (და არა პრაქტიკული სამუშაო!)/დამოუკიდებელი მეცადინეობა/გამოცდის მომზადება-ჩაბარება, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში: პრაქტიკული მეცადინეობა/გამოცდის ჩაბარება. ასევე, სილაბუსებში მიეთითოს შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განკუთვნილი დრო.

- სასურველია, პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობით ნაწილში გასწორდეს ჩანაწერი - „მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: თელავის

სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც სავარაუდოდ, ტექნიკური ხარვეზია;

- სასურველია, კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით დაიხვეწოს შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რაც შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევადობის სრულყოფის განმსაზღვრელი ფაქტორი იქნება;

- სასურველია, პროგრამის აღწერილობით ნაწილში, პუნქტი - „სწავლების ორგანიზების თავისებურებები“ - განიმარტოს დამატებითი ინფორმაცია აკადემიური კალენდრის შესაბამისად, სემესტრის სრული ხანგრძლივობის შესახებ, ვინაიდან ამავე პუნქტში მითითებულია, რომ სწავლება მიმდინარეობს 4 სემესტრად და სემესტრის ხანგრძლივობაა 15 სასწავლო კვირა, შესაბამისად ვერ დგინდება შუალედური და დასკვნითი შეფასებების პერიოდები.

თავმჯომდარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მხრიდან შეფასების სისტემასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას ეთანხმებოდნენ, გაიზიარეს ექსპერტების შენიშვნა, მართლაც, უნიფიცირებული შეფასების სისტემით ყველა პროგრამის მუშაობა არ იყო გამართლებული, მათი ინდივიდუალური სპეციფიკიდან გამომდინარე. ამდენად, შენიშვნა მისაღები იყო. მისი თქმით, შეფასების სისტემის დახვეწაზე მანამდეც მუშაობდნენ, რამდენიმე ვერსიაც ჰქონდათ შემუშავებული და პირველ ეტაპზე პილოტირებას გეგმავდნენ, ერთი ხელის აღებით მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს ასეთი მასშტაბის ცვლილების გაკეთება, იმდენად, რამდენადაც ამას აუცილებლად მოჰყვებოდა ქაოსი დაწესებულებაში.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა იყო სასწავლო. ამ მიზნით ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული ყამბარაშვილის კლინიკასთან.

ექსპერტმა დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ ამ შემთხვევაში საწარმოო პრაქტიკასთან ჰქონდათ საქმე, რადგან სტუდენტს რეალურ პაციენტებთან უხდებოდა შეხება. სასწავლო პრაქტიკა მხოლოდ იმიტაციას ითვალისწინებდა, მულაჟების მეშვეობით. თუ შესაბამის ინვენტარს შეიძენდნენ და უნივერსიტეტის ბაზაზე განახორციელებდნენ მისი მეშვეობით სიმულაციების მოწყობას, ეს იქნებოდა სასწავლო პრაქტიკა.

ზაზა მარუაშვილი დაინტერესდა, რატომ არ ჰქონდა დაწესებულებას მითითებული შუალედური გამოცდების შესახებ, რომელ კვირაში ეწყობოდა იგი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში მართლაც არ ჰქონიათ დაკონკრეტებული, თუმცა, ყოველთვის მე-7 და მე-13 კვირებში უზრუნველყოფდნენ შუალედური გამოცდების ჩატარებას.

თეორიული კურსისა და პრაქტიკის ერთდროულად განხორციელებასთან დაკავშირებით ექსპერტის მიერ გამოთქმულ შეფასებაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თუ სალექციო პერიოდი 15 კვირიანი იყო, მხოლოდ ათი კვირის შემდეგ იწყებდნენ პრაქტიკას, ამდენად, სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონდა პრაქტიკაში დაენახა ის, რაც უკვე მოსმენილი ჰქონდათ. ასეთი პრინციპით, გადაფარვებს ადგილი არ უნდა ჰქონოდა. ამის მიუხედავად, გაითვალისწინეს ექსპერტის რეკომენდაცია

საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკისთვის გათვალისწინებული საათების სრულად საკონტაქტო საათებად გათვალისწინება დიდ ფინანსებს მოითხოვდა, ამდენად, თავიდანვე ვერ უზრუნველყვეს, თუმცა, სამომავლოდ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ

აღნიშნულსაც და სრულად საკონტაქტოს გახდიდნენ პრაქტიკისთვის გათვალისწინებულ საათებს.

მაია ჩიხლაძემ მიმართა მხარეს, საკმაოდ სერიოზული ხარვეზები იყოს სახეზე, აუცილებელი იყო მათი გამოსწორება. მისი თქმით, უმჯობესი იქნებოდა თუ კურაციული სისტემით განახორციელებდნენ სწავლებას, რაც თანმიმდევრულობის დაცვის საშუალებას მისცემდათ. აუცილებელი იყო კონკრეტულად გაწერა, როდის, კონკრეტულად რომელი კვირიდან იწყებოდა პრაქტიკის განხორციელება, მეანგინეკოლოგია და შესაბამისი პრაქტიკა, მაგალითად, ერთ სემესტრში იყო თავმოყრილი.

წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ აუცილებლად გეგმავდნენ რეკომენდაციების გათვალისწინებას, დაფიქსირებული საკითხები უკვე განსახილველად იყო წარდგენილი დაწესებულების შესაბამისი ორგანოსთვის.

მაია ჩიხლაძემ გაიზიარა ექსპერტის მოსაზრებები, ამასთან, დაამატა, რომ პროგრამაში მე-3 საფეხურის სწავლის შედეგები იყო სტანდარტიდან გადმოტანილი, მაშინ როდესაც საქმე მე-5 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ეხებოდა. მისი თქმით, წარმოდგენილი სახით პროგრამა სწავლის შედეგებზე ვერ გავიდოდა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ასეთი მძიმე ხარვეზების ფონზე, იყო წვრილმანი ხასიათის შენიშვნები, რომლებიც ადგილზე განემარტა დაწესებულებას და დასკვნაში აღარ დაფიქსირებულა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფიქრობდნენ, როგორ გაეხადათ პროფესიული განათლება უფრო დეცენტრალიზებული დაწესებულების დონეზე. თავის მხრივ, სახელმწიფოც მოითხოვდა დანახარჯების შესახებ ინფორმაციის დეტალურად გაწერას. წარმომადგენლის განცხადებით, ამჟამად პროფესიულ პროგრამებზე სულ 80 სტუდენტის მიღება შეეძლოთ. ასეთი მცირე კონტინგენტი წამგებიანი იყო მათთვის, თუმცა, მაინც ფიქრობდნენ ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას.

ირაკლი მაჩაბელმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ერთ სემესტრში რვა საგნის ერთად შეთავაზება მიზანშეწონილი არ იყო.

ზაზა მარუაშვლმა აღნიშნა, რომ ექსპერტის დასკვნიდან და საბჭოს წევრების მოსაზრებების გაცნობის შემდეგ ჩამოუყალიბდა ხედვა, რომ პროგრამა შედეგებზე გასვლას ვერ უზრუნველყოფდა. საბჭოს წევრმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, მიზანშეწონილი არ იყო ვიზიტის შემდეგ ხარვეზების გამოსწორების დოკუმენტაციის წარმოდგენა, საბჭო ვერ იმსჯელებდა იმ დოკუმენტებიდან გამომდინარე, რომელიც ექსპერტს შემოწმებული არ ჰქონდა, სამუშაო ფორმატი არ ითვალისწინებდა მათ თავიდან შესწავლას. ამდენად, სამომავლოდ, ყველას გაეთვალისწინებინა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ შემუშავებულ დოკუმენტებს საბჭო მხედველობაში არ მიიღებდა.

ნანა გაფრინდაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს მიუთითა სწავლის შედეგების ნაწილში კომპეტენციების არასწორად ფორმულირებებზე.

3.სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტყევის (ტყის მჭრელი, ტაქსატორი) მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მეტყევე (ტყისმჭრელი, ტაქსატორი)
განათლების საფეხური	პროფესიული განათლების III საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მეტყევის მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	
კრედიტების რაოდენობა	50

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა თეა შაყულაშვილმა, რომელმაც საბჭოს მოახსენა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა არსებითი ხასიათის შენიშვნები დააფიქსირა, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები და რეკომენდაციები:

- სასურველია დაიხვეწოს სილაბუსებში სწავლის შედეგები და შესაბამისად კომპეტენციების რუკა, ხშირ შემთხვევაში რიგი კომპეტენციები (დასკვნის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები) ხელოვნურადაა გაწერილი და სხვადასხვა სილაბუსებში ერთნაირია;
- სილაბუსებში პერმანენტულად მეორდება ტერმინები „სტუდენტი“, „პროფესორი“, რაც სავარაუდოდ ტექნიკური შეცდომაა და სასურველია შეიცვალოს ტერმინებით: „პროფესიული სტუდენტი“ და „პროფესიული მასწავლებელი“;
- მიზანშეწონილია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში მიეთითოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაცია - „პროფესიული ტესტირების“ გავლა, რაც მეტად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების გამჭვირვალობასა და შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის, ბრძანება №121/ნ-თან - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ - შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სასურველია კურსების სილაბუსებში კრედიტის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში ჩაიშალოს პუნქტებად: ლექცია/სამუშაო ჯგუფი (და არა პრაქტიკული სამუშაო)/დამოუკიდებელი მეცადინეობა/გამოცდის მომზადება-ჩაბარება, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში: პრაქტიკული მეცადინეობა/გამოცდის ჩაბარება. ასევე სილაბუსებში მიეთითოს შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განკუთვნილი დრო;
- სასურველია, მეტყევის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობით ნაწილში გასწორდეს ჩანაწერი - „მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზია“.
- სასურველია კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით დაიხვეწოს შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რაც შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევადობის სრულყოფის განმსაზღვრელი ფაქტორი იქნება;

- სასურველია პროგრამის აღწერილობით ნაწილში, პუნქტი - „სწავლების ორგანიზების თავისებურებები“ - განიმარტოს დამატებითი ინფორმაცია აკადემიური კალენდრის შესაბამისად, სემესტრის სრული ხანგრძლივობის შესახებ, ვინაიდან ამავე პუნქტში მითითებულია, რომ სემესტრის ხანგრძლივობაა 15 სასწავლო კვირაა, შესაბამისად ვერ დგინდება შუალედური და დასკვნითი შეფასებების პერიოდები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ჰქონდა როგორც სამეცნიერო-სასწავლო, ისე პრაქტიკული გამოცდილება შესაბამისი მიმართულებით. უშუალოდ პროგრამის შემთხვევაში შედარებით გვიან ჩაერთო როგორც ხელმძღვანელი. მას საკუთარი მოსაზრებები ჰქონდა თვითონ სტანდარტთან დაკავშირებით და სურდა მისი შეცვლა, მეტყვევის საქმე უნდა ყოფილიყო არა ტყის მოჭრა, არამედ რაციონალურად დაგეგმარება, რა კატეგორიის ხე უნდა მოიჭრას და ა.შ. ეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული რამ იყო. მისი თქმით, დამოუკიდებელი მუშაობა აუცილებლად დამოუკიდებლად შესრულებას არ გულისხმობდა, პროფესიულ სტუდენტს ტყეში მიმდინარე მოვლენების აღრიცხვა უნდა გაეკეთებინა. საკანონმდებლო აქტებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა გაიზიარა ექსპერტის რეკომენდაცია. წარმომადგენლის თქმით, უკვე დაიწყეს მუშაობა შენიშვნების გათვალისწინების მიმართულებით, ფაქტიურად სხვა ჩარჩოში ჩასვეს პროგრამა.

ინფორმატიკის სწავლებასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით სწავლება სკოლაშიც მიმდინარეობდა, ჯერ კიდევ სკოლაში საპრეზენტაციო თემები მომზადებული მოჰქონდათ უკვე მოსწავლეებს, ამდენად, არც წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში უნდა გაჭირვებოდათ შესაბამისი დავალებების შესრულება. სამომავლოდ გეგმავდნენ ექსპერტის მოსაზრების გათვალისწინებას.

მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი არ იყო ყველა სასწავლო კურსის შემთხვევაში ხუთი კრედიტის მინიჭება, მაგალითად, უცხო ენის შემთხვევაშიც 5 კრედიტს ითვალისწინებდა პროგრამა და სპეციალობის საგნებშიც.

ესეულების წარმომადგენლის თქმით, მემორანდუმი გაფორმებული ჰქონდათ შესაბამის სამინისტროსთან, კახეთის სატყეო უბნებზე გაივლიდნენ სტუდენტები პრაქტიკას, ტყეკაფვის პერიოდში. თუმცა, ექსპერტა ჯგუფის დასკვნის სრულყოფილად გასათვალისწინებლად შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას სამომავლოდ აუცილებლად გეგმავდნენ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რისი გათვალისწინებაც ადგილზე იყო შესაძლებელი, დაწესებულებამ უკვე გაითვალისწინა, სახელმძღვანელოები რომლებიც არ აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში ვიზიტის მიმდინარეობისას, ვიზიტის დასრულებამდე უზრუნველყვეს.

4.სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის ტექნიკოსის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	კბილის ტექნიკოსი
განათლების საფეხური	პროფესიული განათლების III საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კბილის ტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	
კრედიტების რაოდენობა	60

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა თეა შაყულაშვილმა, რომელმაც საბჭოს მოახსენა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა არსებითი ხასიათის შენიშვნები დააფიქსირა, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თალსაზრისით. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები და რეკომენდაციები:

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში უნდა მიეთითოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაცია - „პროფესიული ტესტირების“ გავლა, რაც მეტად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების გამჭვირვალობასა და შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანებასთან №121/ნ-თან - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ - შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სასურველია კურსების სილაბუსებში კრედიტის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში ჩაიშალოს პუნქტებად: ლექცია/სამუშაო ჯგუფი (და არა პრაქტიკული სამუშაო)/დამოუკიდებელი მეცადინეობა/გამოცდის მომზადება-ჩაბარება, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში: პრაქტიკული მეცადინეობა/გამოცდის ჩაბარება. ასევე სილაბუსებში მიეთითოს შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განკუთვნილი დრო;
- მიზანშეწონილია, კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით დაიხვეწოს შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რაც კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევადობის გარანტი იქნება;
- მიზანშეწონილია, დაიხვეწოს სილაბუსებში სწავლის შედეგები და შესაბამისად კომპეტენციების რუქა, ხშირ შემთხვევაში რიგი კომპეტენციები (დასკვნის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები) ხელოვნურადაა გაწერილი და სხვადასხვა სილაბუსებში ერთნაირია;
- სასურველია პროგრამის აღწერილობით ნაწილში, პუნქტი - „სწავლების ორგანიზების თავისებურებები“ - განიმარტოს დამატებითი ინფორმაცია აკადემიური კალენდრის შესაბამისად, სემესტრის სრული ხანგრძლივობის შესახებ, ვინაიდან ამავე პუნქტში მითითებულია, რომ სწავლება მიმდინარეობს 4 სემესტრად და სემესტრის ხანგრძლივობაა

15 სასწავლო კვირაა, შესაბამისად ვერ დგინდება შუალედური და დასკვნითი შეფასებების პერიოდები;

- სილაბუსებში პერმანენტულად მეორდება ტერმინები „სტუდენტი“, „პროფესორი“, რაც სავარაუდოდ, ტექნიკური შეცდომაა და სასურველია შეიცვალოს ტერმინებით: „პროფესიული სტუდენტი“ და „პროფესიული მასწავლებელი“.

ექსპერტმა დააზუსტა, რომ წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაშიც თეთმის იდენტური რეკომენდაციები იქნა შემუშავებული, რაც მეტყვევს (ტყის მჭრელი, ტაქსატორის) მე-3 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, ამდენად, უფრო დეტალურად აღარ ჩაუღრმავდებოდა შესაბამის საკითხებს.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა, შესაბამისი მე-4 და მე-5 საფეხურის პროგრამები თუ ჰქონდა დაწესებულებას და წინა საფეხურის აღიარების პროცედურას რატომ არ ითვალისწინებდნენ ამ შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მე-4 და მე-5 საფეხურებზე აკრედიტებული პროგრამები ჰქონდათ, აღიარების პროცედურა კი არ დაადგინე იმიტომ, რომ ზოგადი უნარების ტესტირება საკმარისი წინაპირობა იყო ამისათვის.

ნანა გაფრინდაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში მიზანშეწონილი არ იყო ევთანაზიის, აბორტის, რელიგიისა და ასეთი თემებისათვის დროის დაკარგვა. მისი მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული საათები კვლავ სპეციალობის საგნებს დათმობოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ თემებს ითვალისწინებდა ბიოეთიკის სასწავლო კურსი, რაც მნიშვნელოვანი იყო წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში, რადგან მედიცინის მუშაკს ზრდიდნენ, საკითხები ღირებულებებს უვითარებდა სტუდენტს.

ირაკლი მაჩაბელმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ დაწესებულება თავად უთითებდა თვითშეფასებაში სუსტი მხარეების ნაწილში დამსაქმებლებთან არასაკმარისი დონის თანამშრომლობას და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ნაკლებობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დამსაქმებლების პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობა საერთოდ ახალი პრაქტიკა იყო და შესაბამისი ხარისხით ამ ეტაპზე განვითარებული არც მათ ჰქონდათ.

ზაზა მარუაშვილმა სთხოვა წარმომადგენელს დაზუსტება, პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი ბაზა ჰქონდათ თუ არა.

წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ჰქონდათ აუცილებელი ბაზა, თვითშეფასებაში, სუსტი მხარეების ნაწილში მხოლოდ უმაღლესი დონის ტექნიკის არარსებობა ჰქონდა მხედველობაში.

ირაკლი მაჩაბელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პროგრამა გადატვირთული იყო თემებით, რომელის ცოდნაც კბილის ტექნიკოსისათვის არ იყო აუცილებელი. მაგალითად, კვანტური მექანიკა.

აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობით მიმართა აკრედიტაციის ექსპერტმა გიორგი გვალიამ, რომელმაც ითხოვა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახითხი განეხილათ მომდევნო, მეხუთე საკითხად. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის (ინგლისურენოვანი) სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სადოქტორო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ევროპისმცოდნეობის დოქტორი
სწავლების ენა	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	
კრედიტების რაოდენობა	180

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, გიორგი გვალიამ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია, სასწავლო კურსი სახელწოდებით „კვლევის რაოდენობრივი მეთოდები/გამოყენებითი სტატისტიკა“, რომელიც პროგრამის არსებულ ვერსიაში წარმოდგენილია, როგორც არჩევითი სტატუსის მქონე კურსი, განისაზღვროს როგორც პროგრამის სავალდებულო ბლოკის ნაწილი;
- სასურველია, რომ განმარტებული იყოს თუ რა იგულისხმება კვლევით პროექტში, რომელიც პროგრამაზე მიღებისას ერთ-ერთი წარმოსადგენი დოკუმენტაციაა. როგორც პროგრამის ადმინისტრაციასთან საუბრისას გამოიკვეთა, კვლევითი პროექტი გულისხმობს იმ კვლევით გეგმას, რომელზე მუშაობასაც განახორციელებს დოქტორანტი პროგრამაზე მოხვედრის შემთხვევაში. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ მკაფიოდ იქნას განსაზღვრული როგორც კვლევითი პროექტის სტრუქტურა, ასევე მისი მოცულობა;
- ასევე, სასურველია, რომ პროგრამის სავალდებულო კურსი სახელწოდებით „ევროპის იდეა“ განისაზღვროს როგორც არჩევითი ბლოკის ნაწილი და ავტორმა იზრუნოს კურსის ფარგლებში კვლევითი კომპონენტების უფრო აქტიურად ჩართვაზე. აღნიშნული კურსი იმ სახით, რა სახითაც ის პროგრამაშია წარმოდგენილი, უფრო მეტად შეესაბამება სწავლების სამაგისტრო საფეხურს.
- სასურველია, რომ პროგრამის არჩევითი საგნების ბლოკში შეთავაზებული საგნების რაოდენობა გაიზარდოს, რადგან არსებული საგნები სრულად ვერ ფარავს ევროპისმცოდნეობის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და ჰუმანიტარულ მიმართულებებს, როგორც ეს პროგრამის აღწერაშია მითითებული.
- რადგან პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სასწავლო კომპონენტს, სასურველია, რომ არჩევითი საგნების ბლოკში დაემატოს კურსები ევროპული ინტეგრაციის თეორიების და ევროპული ინსტიტუტების შესახებ;
- პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვან დაბრკოლებად განიხილება დარგისთვის რელევანტური ლიტერატურის სიმწირე. შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ პროგრამის ფარგლებში გამოიყოს დამატებითი ფინანსური რესურსები რელევანტური ლიტერატურის შესაძენად. ასევე, მნიშვნელოვანია პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს გააჩნდეთ წვდომა დარგის წამყვან სამეცნიერო ჟურნალებთან და მონაცემთა ბაზებთან;
- სასურველია ნათლად განისაზღვროს პროგრამის პოპულარიზაცია და დოქტორანთა მოზიდვის სტრატეგია, რათა სადოქტორო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტი სრულად დაკომპლექტდეს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული მუშაობისათვის და აღნიშნა რომ, გარე შეფასება ძალიან მნიშვნელოვანი იყო პროგრამის განვითარებისათვის. მან ასევე აღნიშნა რომ, პრაქტიკულად მაშინვე დაიწყო მუშაობა რეკომენდაციების გათვალისწინებით და მზად იყო გაეთვალისწინებინა ყველა რეკომენდაცია. მისი თქმით, ლიტერატურასთან დაკავშირებული საკითხი ვიზიტის დროსვე გაირკვა, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი ელექტრონული რესურსით.

მამია ჯანჯალიამ ექსპერტს სთხოვა განმარტება, წარმოდგენილი შეფასებები რეკომენდაციები იყო თუ შენიშვნები. ექსპერტმა აღნიშნა რომ, მის მიერ ჩამოთვლილი საკითხები სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდა.

ზაზა რუხაძემ სთხოვა ექსპერტს, დაეზუსტებინა ბოლო რეკომენდაცია.

ექსპერტმა გიორგი გვალიამ აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად ყოფილიყო პროგრამაში, თუმცა პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა როგორ აპირებდნენ პროგრამის პოპულარიზაციას.

ზაზა რუხაძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნდა, სადოქტორო პროგრამაზე არც ძირითად და არც არჩევით საგნებში სასწავლო კურსის „ევროპის იდეა“ - გათვალისწინება.

გიორგი გვალიამ აღნიშნა, რომ ბევრი განხვავებული მოდელი არსებობდა, თუ როგორ უნდა აეწყო სადოქტორო პროგრამა, მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, მისი პირადი მოსაზრებით, დროის დიდი ნაწილი უნდა დათმობოდა კვლევას და ინსტრუმენტების სწავლებას.

დავით ბოსტოლანაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა შემუშავებული იყო გრანტის ფარგლებში, უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით და მათი შენიშვნების გათვალისწინებით იქნა აღნიშნული სასწავლო კურსი დამატებული პროგრამაში.

თამარ ვეფხვაძემ გაიხიარა კოლეგების აზრი. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იყო საერთაშორისო ორგანიზაციებში სტაჟირების გავლა, რაც პროგრამას დადებითად წარმოაჩენს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათი სურვილი იყო ორმხრივი სარგებლის მიღება.

ზაზა მარუაშვილის თქმით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებთან შეხება მისთვის კარგი გამოცდილება იქნებოდა, სადოქტორო პროგრამებთან დკავშირებით არ ჰქონდათ ერთგვაროვანი მიდგომა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ლაპიაშვილმა ისაუბრა პროგრამის შესახებ. მისი თქმით, პროგრამა ხორციელდებოდა ტასისის პროექტის ფარგლებში. თავდაპირველად შეძენილ იქნა 30 000 ევროს ღირებულების ლიტერატურა და სამომავლოდ კვლავ იგეგმებოდა პროგრამის რესურსის სრულყოფა. სამომავლოდ გეგმავდნენ 12 სტუდენტის მიღებას. მათი მოსაზრებით, კონტინგენტი, ძირითადად, ამავე პროგრამის მაგისტრატურის კურსდამთავრებულებით დაკომპლექტდებოდა.

6. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი
განათლების საფეხური	პროფესიული განათლების III საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	
კრედიტების რაოდენობა	45

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა თეა შაყულაშვილმა, რომელმაც საბჭოს მოახსენა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა რიგი შენიშვნები დააფიქსირა, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ექსპერტმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები და რეკომენდაციები:

- სასურველია დაიხვეწოს სილაბუსებში სწავლის შედეგები და შესაბამისად კომპეტენციების რუკა, ხშირ შემთხვევაში რიგი კომპეტენციები (დასკვნის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები) ხელოვნურადაა გაწერილი და სხვადასხვა სილაბუსებში ერთნაირია;
 - სილაბუსებში პერმანენტულად მეორდება ტერმინები „სტუდენტი“, „პროფესორი“, რაც სავარაუდოდ ტექნიკური შეცდომაა და სასურველია შეიცვალოს ტერმინებით: „პროფესიული სტუდენტი“ და „პროფესიული მასწავლებელი“;
 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის, ბრძანება №121/ნ-თან - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ - შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სასურველია კურსების სილაბუსებში კრედიტის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში ჩაიშალოს პუნქტებად: ლექცია/სამუშაო ჯგუფი (და არა პრაქტიკული სამუშაო!)/დამოუკიდებელი მეცადინეობა/გამოცდის მომზადება-ჩაბარება, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში: პრაქტიკული მეცადინეობა/გამოცდის ჩაბარება. ასევე სილაბუსებში მიეთითოს შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განკუთვნილი დრო;
 - სასურველია კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით დაიხვეწოს შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რაც შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევადობის სრულყოფის განმსაზღვრელი ფაქტორი იქნება;
 - აუცილებელია პროგრამაში უცხო ენის სასწავლო კურსის გათვალისწინება;
 - აუცილებელია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკისთვის სტანდარტით განკუთვნილი კრედიტების დაცვა და შესაბამისად - საათების განაწილება.
- ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას ჰქონდა ძალიან კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

Handwritten signature

თავმჯოდმასრემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

წარმომადგენელმა გაიზიარა ექსპერტის მოსაზრებები და აღნიშნა, რომ სამომავლოდ მას აუცილებლად გაითვალისწინებდნენ. პროგრამის შემუშავებისას კვლევებიც იქნა ჩატარებული, რეგიონში რამდენად მოთხოვნადი იყო შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია. ასევე, გააჩნდათ კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მემორანდუმებიც ჰქონდათ გაფორმებული პროგრამის განხორციელების მიზნით.

მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა იყო ერთადერთი ზემოთგანხილულ სხვა პროფესიულ პროგრამებს შორის, რომლის ადამიანური რესურსიც შესაბამისობაში იყო მოსული კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

7.შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	06
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ზვიად როგავამ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული მოსაზრებები:

- პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით. თუმცა, დასახვეწია ცალკეული სასწავლო კურსების მიზნები და სწავლის შედეგები. მაგალითად, ბუნდოვანია პროფესიული პრაქტიკის შედეგები - „ღირებულებები - იცავს პრაქტიკის გავლის ადგილზე კონკრეტული ობიექტის შინგანაწესსა და ეთიკის ნორმებს“;
- სასწავლო კურსი „სისხლის სამართალი - ზოგადი ნაწილი“-ს სწავლის შედეგით სტუდენტი გააცნობიერებს „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმების შედარებით-სამართლებრივ პრობლემატიკას“. სასწავლო კურსის თემატიკიდან გამომდინარე აღნიშნული შედეგის მიღწევა შეუძლებელია;
- სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)“ თემატიკა ასევე ითვალისწინებს ნარკოტიკული დანაშაულისა და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სწავლებასაც;
- სასწავლო კურსის „საგადასახადო სამართალი“ მე-7 ლექცია „საგადასახადო აღრიცხვა“ მოიცავს კორპორაციული სამართლის საკითხების სწავლებას (მაგ. სამეწარმეო რეესტრი და ამონაწერი, მისი სამართლებრივი მნიშვნელობა და დრო, საწარმოს რეორგანიზაციის (გარდაქმნის) სამართლებრივი ნორმები და წინაპირობები, საწარმოს ლიკვიდაციის წესი და სამართლებრივი პირობები), რაც აღნიშნული კურსის სწავლებისას ირელევენტურია. ამასთან, მე-14 ლექცია მოიცავს დღგ-ის, აქციზის, იმპორტის და ადგილობრივი გადასახადების სწავლებას. ბუნდოვანი და გაუგებერარია აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებიც „სტუდენტმა იცის გადასახადების და საგადასახადო დაბეგვრის ოპერაციების მართვის სამართლებრივი ინსტრუმენტები და მეთოდები. კურსის შესწავლის შემდეგ სტუდენტს შეეძლება საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული მიმდინარე მოვლენებისა და მოქმედებების როგორც რაოდენობრივი, ისე სამართლებრივი მახასიათებლების დადგენა, მისი ანალიზი, საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენა; ფლობს კანონით გათვალისწინებული სწორი მოქმედებებისა და რეაგირების პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს“;
- სასწავლო კურსი „საერთაშორისო საჰაერო სამართალი“ სწავლის შედეგებში ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამისათვის დამახასიათებელ სწავლების შედეგებს: „სასწავლო დისციპლინის გავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს ღრმა და სისტემურ ცოდნას“. აღნიშნულ სილაბუსში დასახვეწია აგრეთვე სწავლის შედეგები ღირებულებების ნაწილში: „ღირებულებები-სასწავლო კურსის ფარგლებში მასალის შესწავლა და

გაანალიზება, საგნის ფარგლებში ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობა ხელს შეუწყობს სტუდენტში ისეთი ღირებულებების ფორმირებას, როგორიცაა, სამართლიანობა, თანასწორუფლებიანობა და თანასწორობა, თავისუფლება, კანონიერება, დემოკრატიულობა, საჯაროობა, ადამიანის უფლებათა უზენაესობა, კერძოდ სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ურთიერთობისას პიროვნების უპირატესობა და სახელმწიფოს საპაეო სამართლით შეზღუდვა და სხვ. სასწავლო კურსი შინაარსობრივად წვლილს შეიტანს სტუდენტის სწრაფვაში ზემოაღნიშნული ღირებულებების დამკვიდრების თვალსაზრისით, მისი პროფესიული საქმიანობისას, აგრეთვე პრაქტიკული საქმიანობისას სამართლებრივი ეთიკის ნორმების დაცვის მენტალობის ფორმირებაში“;

- სასწავლო კურსის „საფინანსო სამართალი“-ს დამატებით ლიტერატურაში მითითებული „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი ძალადაკარგულია 2013 წლის 1 იანვრიდან;

-სასწავლო კურსის „ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი“-ს თემატიკა არ ითვალისწინებს საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ საკითხების სწავლებას, რაც ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალური სამართლით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

- ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სასწავლო კურსი ითვალისწინებს სტუდენტების ისეთი უნარის გამომუშავებას, რაც აუცილებელია ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის შესწავლისთვის. კერძოდ, „სტუდენტთა ჯგუფის მიერ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტების პროექტის მომზადება“, „ადმინისტრაციული ხელშეკრულების და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების ერთმანეთისაგან გამიჯვნა“;

- ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სასწავლო კურსი მე-9 კვირაში ითვალისწინებს დებატებს თემაზე „ადმინისტრაციული დავები.“ მე-12 კვირაში ისწავლება ადმინისტრაციული საჩივარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობაც ადმინისტრაციული საჩივრის მომზადებას ეხება. მე-13 კვირაში ისწავლება უფლება სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურებაზე, თუმცა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა ითვალისწინებს სტუდენტთა მიერ ისევ ადმინისტრაციული საჩივრის მომზადებას. ინფორმაციის თავისუფლების თემის განხილვის შემდეგ, ჯგუფში მუშაობა ითვალისწინებს ადმინისტრაციული საჩივრის მომზადებას. სილაბუსში ზოგიერთი საკითხის სწავლების დროს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურაში ერთი და იგივე სახელმძღვანელოა მითითებული;

- აკადემიური წერის სილაბუსი არსებითად არის გადასამუშავებელი. კერძოდ, სასწავლო კურსის მიზანია „სწორმეტყველების იმ კანონებისა და კანონზომიერებების შესწავლა, რომლებიც მეტყველების სისწორესა თუ გამართულობას განსაზღვრავენ; სტილური თავისებურებების გაცნობა და იმ ნაირგვარი ენობრივი საშუალებების შესწავლა, რომლებიც სალიტერატურო ენის ფუნქციონალურ (სპეციალურ) დიფერენციაციას ემსახურება; ასევე ქართული სალიტერატურო ენის პრაგმატული ცოდნის გაღრმავება და განმტკიცება; ლექსიკური მარაგის გაღრმავება; ლოგიკური აზროვნება; ზეპირი მეტყველების დახვეწა. საკვლევი ობიექტის არგუმენტირებული ესესთვის აუცილებელი უნარჩვევებისა და მეცნიერული ალღოს გამომუშავება.“ კურსი ითვალისწინებს შემდეგი საკითხების სწავლებას: „ქართული ენა – საქართველოს სახელმწიფო ენა,“ „სახელმწიფოს ზრუნვა ქართული ენის სიწმინდის დაცვისთვის,“ „ქართული დამწერლობის განვითარების ეტაპები“;

-პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია, თუმცა, რეალური

შედეგის მიღწევა ამ მექანიზმით შეუძლებელია. ხარისხის სამსახურს შემუშავებული აქვს კითხვარები, რომლებიც შინაარსის თვალსაზრისით იდენტურია, როგორც დამსაქმებლებისთვის, ისე აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და კურსდამთავრებულებისათვის. შესაბამისად, კითხვარის შინაარსი არ არის ადეკვატური ადრესატისა და გამოკითხვაც ფორმალური ხასიათისა;

- პროგრამის განხორციელების პროცესში გამოყენებული სწავლების მეთოდები და ფორმები ძირითადად მსგავსია ყველა სასწავლო კურსისთვის. სილაბუსებში სწალისა და შეფასების მეთოდები აღწერილია ერთნაირად, საგნის სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე. აუცილებელია მოხდეს მათი დიფერენცირება და შესაბამისობაში მოყვანა საგნის თავისებურებებთან. მაგალითად „კაზუსის განხილვის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში“ სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლების მეთოდებში განსაზღვრულია, რომ კურსის შესწავლისას გამოიყენება წერითი მუშაობის მეთოდი, რაც გულისხმობს მასალის დაკონსპექტებას, თეზისების შედგენას, რეფერატის, ესსეს შესრულებას და ა. შ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე ამ მეთოდით სწავლება არარელევანტურია;

- პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ძირითადად ლოგიკურია. პროგრამის სასწავლო გეგმა აგებულია კურსების/მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობით - ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. მოდულებისა და შესაბამისად სასწავლო კურსების ბმა განგრძობითი ხასიათისაა. მთელ რიგ შემთხვევაში კონკრეტული საგანი მომდევნო საგნის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს. თუმცა, მიზანშეწონილია სასწავლო კურსის „საკორპორაციო სამართალი“-ს შესწავლას წინ უსწრებდეს სასწავლო კურსის „სახელშეკრულებო სამართალი“-ის სწავლება და შესაბამისად სასწავლო კურსის „საკორპორაციო სამართალი“-ს შესწავლის წინაპირობად ნაცვლად სასწავლო კურსის „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“-ს განისაზღვროს სასწავლო კურსი „სახელშეკრულებო სამართალი“. ანალოგიურად სასურველია სასწავლო კურსის „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“-ს შესწავლის წინაპირობად ნაცვლად სასწავლო კურსის „ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი“-ს განისაზღვროს სასწავლო კურსი „სახელშეკრულებო სამართალი“;

- სასწავლო კურსის „საგადასახადო სამართალი“-ს შესწავლას წინ უნდა უსწრებდეს სასწავლო კურსის „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“-ს სწავლება და შესაბამისად აღნიშნული სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობად ნაცვლად სასწავლო კურსების „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“-სა და „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“-სა უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსი „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“. სასწავლო კურსი „საფინანსო სამართალი“ ასევე წინ უნდა უსწრებდეს სასწავლო კურსის „საგადასახადო სამართალი“-ს სწავლებას;

- პროფესიული პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს უნდა განესაზღვროს დაშვების წინაპირობები. სასწავლო კურსს „შეიარაღებული კონფლიქტები და საერთაშორისო სამართალი“ წინაპირობად სასწავლო კურსის „საერთაშორისო საჯარო სამართალი“-ს გარდა უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „ინგლისური ენა (B2.2)“, ვინაიდან აღნიშნული სასწავლო კურსი სავალდებულო ლიტერატურად ითვალისწინებს ინგლისურენოვან სახელმძღვანელოებს;

- სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი; 2005.14.02); „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების სისტემით.

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით და ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს:

- აქტივობა (სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ, ლაბორატორიულ მეცადინეობებზე; საკონტროლო წერა, არგუმენტირებული ნაშრომი, პრეზენტაცია ან პედაგოგის მიერ დადგენილი სხვა აქტივობა) - 1 - 30 ქულა. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ დეტალურადაა გაწერილი სილაბუსებში.
- ორი შუალედური შემოწმება - წერიტი ფორმით (VI და XII კვირა) - 1 - 30 ქულა. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ დეტალურადაა გაწერილი სილაბუსებში.

დასკვნითი (ფინალური) გამოცდა - წერიტი ფორმით (XVIII - XX კვირა) 1 - 40 ქულა. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ლექტორის მიერ დეტალურადაა გაწერილი სილაბუსებში;

- სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან ცალკეულ შემთხვევაში შეფასების სისტემა მოუქნელია და არ ასახავს საგნის სპეციფიკას. მაგალითად, კაზუსის განხილვის მეთოდის შემსწავლელი კურსის სილაბუსში დასკვნით გამოცდაზე სტუდენტთა ცოდნის შემოწმება ხდება ტესტების და თეორიული საკითხების წერით. რაც აბსოლუტურად, არ შეესაბამება კურსის სპეციფიკას. აღნიშნული ეხება ასევე IT ტექნოლოგიების სასწავლო კურსის სილაბუსსაც;

- პროგრამაში ნაკლებად არის გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის ელემენტი. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები მხოლოდ კიევის რამდენიმე სასწავლებელთან. უნივერსიტეტი ამ ეტაპზე ჩართული არ არის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში, შესაბამისად, რესურსებით სარგებლობა ხელმისაწვდომი არ არის არც სტუდენტებისთვის და არც სამეცნიერო პერსონალისათვის.

- დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტი გეგმავდა ERASMUS MUNDUS პროგრამაში ჩართვას და ამ პროგრამით გათვალისწინებული ურთიერთობების განხორციელებას. მისი მოსაზრებით, სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში უზრუნველყოფდა ის ფაქტიც, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული იყო ინგლისური ენის მოდული 20 კრედიტის მოცულობით.

- ექსპერტის თქმით, წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალის უმრავლესობის კომპეტენცია დადასტურებული იყო შესაბამისი პუბლიკაციებით. თუმცა, პროგრამაში ჩართული ორი პირის კომპეტენციის დადასტურების მხრივ კითხვის ნიშანი გაჩნდა:

ერთ შემთხვევაში სამართლის მიმართულების ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნული იყო პირი, რომელიც იყო ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი. მას 1994-1998 წწ. დამთავრებული ჰქონდა ასევე იურიდიულ-ეკონომიკური ფაკულტეტი სამართალმცოდნეობა-მენეჯმენტის (იურისტისა და ეკონომისტის) სპეციალობით. აღნიშნული პირი კითხულობდა სხვადასხვა სასწავლო კურსებს, კერძოდ, სამართლის მეთოდებს, სამეწარმეო, საბანკო და სადაზღვეო სამართალს და საფინანსო სამართალს. თუმცა, ამ მიმართულებით სამეცნიერო შრომები არ უდასტურებოდა. მის პირად საქმეში წარმოდგენილ სამეცნიერო შრომების სიაში მითითებული იყო ისეთი სტატები, მაგალითად, როგორიცაა:

- „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“, გაზეთი „რეზონანსი“ 2011 წლის 25 აგვისტო;

- „გავათბოთ სამართალი და პოლიტიკა ადამიანისა და სიცოცხლის სიყვარულით“, გაზეთ „რეზონანსი“ 2013 წლის 2 თებერვალი;
- „სამართლებრივი თავისუფლება და მისი ფილოსოფიურ-პოლიტიკური მენეჯმენტი“ - მონოგრაფია - თბ., 2013.

რაც შეეხება პროგრამის განხორციელებაში ჩართული მეორე პირის კვალიფიკაციას, იგი კითხულობდა საგადასახადო სამართლის სასწავლო კურსს, თუმცა, აკადემიური ხარისხი ჰქონდა ბიზნესის მართვის მიმართულებით, ტრანსპორტის ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობით. მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი სამართლის მიმართულებით, მაგალითად როგორიცაა „საერთაშორისო საბაჟო სამართალი“, „საგადასახადო საქმე“, „საბაჟო საქმე“, „სალიზინგო ოპერაციების მდგომარეობის ანალიზი საქართველოს საჰაერო ტრანსპორტზე“ და ა.შ., უმჯობესი იქნებოდა თუ საგადასახადო სამართლის სასწავლო კურსს უხელმძღვანელებდა სამართლის მიმართულებით აკადემიური ხარისხის მქონე პირი;

ზემოაღნიშნული შენიშვნების გარდა ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები:
-სასურველია კიდევ უფრო გაძლიერდეს ინგლისური ენის სწავლება, პროფესიული ინგლისური ენის სწავლების ხარჯზე, რაც გაზრდის სწავლების, კვლევის საბაზისო უნარების და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციას, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტუდენტთა მობილობისა და საერთაშორისო სამართლებრივ პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობას;

-სასურველია საბაკალავრო პროგრამაში სწავლის შედეგების ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების გაერთიანება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექპერტების მიერ სასარგებლო რჩევები იქნა მიცემული, მათი მოსაზრებით, პროგრამა აკმაყოფილებდა სტანდარტებს, შენიშვნები კი სილაბუსებს შეეხებოდა. მისი თქმით, საჰაერო სამართალთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომა წარმოჩინდა. საფინანსო სამართალთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძალადაკარგული კანონის მითითება ჩამონათვალში სტუდენტისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით იქნა გათვალისწინებული, ხოლო მუნიციპალურ სამართალთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თბილისის შესახებ ნორმების განხილვას ითავლსიწინებდა შესაბამისი სახელმძღვანელო.

ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთ კვირაში დაიწყებოდა ადმინისტრაციული საჩივრის თეორიის კურსი და სამუშაო ჯგუფში მეცადინეობაზე მოხდება პრაქტიკულად მომზადება. კაზუსის ამოხსნის მეთოდისკაბთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულს ითვალისწინებდა პროგრამაში გათვალისწინებული წერიტი მუშაობის მეთოდი.

„შეიარაღებულ კონფლიქტებთან“ დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა წინაპირობების საკითხს, თუმცა ქართული სავალდებულო ლიტერატურაც გათვალისწინებული იყო საგნის კომპონენტში.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ სერიოზული შეცდომა იყო 10 სილაბუსში დაფიქსირებული ხარვეზები და მისთვის მხარის კონტრარგუმენტები არ იყო საკმარისი და მისაღები. ის ასევე თვლიდა, რომ დაბალი იყო ინტერნაციონალიზაციის ხარისხი, ასევე ეჭვს იწვევდა 2 პერსონალის კვალიფიკაცია. საბჭოს წევრმა აგრეთვე დასძინა, რომ ექსპერტების მიერ მეხუთე სტანდარტის ექსპერტების დადებითად მხრიდან შეფასების მიუხედავად, ის არ თვლიდა, რომ ამ დარღვევების ფონზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობა დადებითად შესაძლებოდა შეფასებულიყო.

ზაზა რუხაძე დაინტერესდა პრაქტიკის უზრუნველყოფით და ზაზი გაუსვა ექსპერტის შეფასებას, რომ პრაქტიკა სუსტი იყო და ძალზედ მცირე იყო სუსტი თეორიული ცოდნის პრაქტიკით გამყარების შანსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კლინიკა არსებობს და რიგი მემორანდუმებიც იყო გაფორმებული.

საპაერო სამართალზე დაისვა შეკითხვა, თუ რატომ ისწავლებოდა საპაერო სამართალი, და არა სხვა რომელიმე ქვედარგი და რას ამღევდა ეს კომპეტენცია სტუდენტს დაწესებულების მიზნებიდან გამომდინარე. მხარემ აღნიშნა რომ უფრო მოთხოვნადი და აქტუალური იყო აღნიშნული თემები.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ 10 კრედიტიანი სამოქალაქო პროცესის სასწავლო კურსის ერთ სემესტრში შეთავაზება არ იყო მიზანშეწონილი, რაშიც ზაზა რუხაძეც დაეთანხმა. მას ასევე ანალოგიური შეინიშნა ჰქონდა კონსტიტუციური სამართალის კურსთან დაკავშირებით, რომელის ერთ სემესტრში შეთავაზებაც არ იყო მიზანშეწონილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის გაუგებარი იყო ექსპერტების შენიშვნა კითხვარებთან დაკავშირებით.

ზაზა რუხაძემ წარმომადგენელს განუმარტა, კითხვები იმდენად ზოგადი იყო, რომ არ გამომდინარეობს სამიზნე ჯგუფის სპეციფიკიდან. ექსპერტმა რევაზ ხოფერიამ გაახმოვანა კითხვა - „პროგრამის შესაბამისობა საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან“ - რომელიც გაუგებარია, როგორ შეფასდებოდა სტუდენტებისა თუ დამსაქმებლების მიერ.

დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნა ორაზროვნად იყო ფორმულირებული, სთხოვა დაზუსტება ექსპერტებს, იყო თუ არა ადამიანური რესურსის პრობლემა პროგრამაში.

ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ გამორიცხული იყო ასეთი კვალიფიკაციის მქონე პირს წაეკითხა ამდენი რაოდენობის საგნები. იგივე შეკითხვა დაესვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დააზუსტეს შრომების სია და წარუდგინეს ის საბჭოს. თავმჯდომარემ გამოაქვეყნა სია სხდომაზე.

18:00 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 18:30 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის პირველ ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 7; წინააღმდეგი-0);

- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრაქტიკოსი ექთნის მე-5 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი-7);

- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტყვევის(ტყის მჭრელი, ტაქსატორი) მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი-7);

- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის ტექნიკოსის მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი-7);

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის (ინგლისურენოვან) სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი-0);

- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი-7);
- შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი-7);

თავმჯდომარემ განმარტა, რომ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამებისათვის, ასევე შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისათვის უარის თქმის შემთხვევებში, საბჭო დაეყრდნო აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსული იყო სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წერილი, რომლითაც ითხოვდნენ დღის წესრიგიდან მოეხსნათ მათი საკითხის განხილვა, შუამდგომლობა ერთხმად დაკმაყოფილდა და დღის წესრიგი მე-8 საკითხიდან ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

8. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისტიკისა და კონსულტირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს წევრმა ზაზა რუხაძემ დატოვა სხდომა.

8. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	02
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა პაატა ბრეკაშვილმა და საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია მკაფიოდ გაიწეროს სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები. კერძოდ, სასურველია სილაბუსებში გაიწეროს გამოკითხვის ყველა ფორმის მიხედვით შეფასების სხვადასხვა დონის კრიტერიუმები;
- სასურველია სამაგისტრო ნაშრომის მოცულობის გაზრდა, მასში სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის გაზრდის მიზნით;
- სასურველია უნივერსიტეტის შესაბამისმა სამსახურმა ახალი პროგრამის შემუშავებისას პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოს აკადემიურ საბჭომდე პროგრამის შუალედური შეფასებით ტექნიკური უზუსტობების აღმოჩენისა და აღმოფხვრის მიზნით.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა გამოთქმულ რეკომენდაციებს და აღნიშნა, რომ უახლოეს მიმავალში გაითვალისწინებდნენ. შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა საგნის სილაბუსი იყო საკმაოდ მრავალკრიტერიუმიანი შეფასებისაგან შემდგარი. თითქმის ყველგან წერია, რომ სტუდენტებს ლექტორი ყველა დავალების წინ მისცემდა შეფასების რუბრიკას. მართალია, სისტემა უნდა ყოფილიყო გამჭვირვალე, თუმცა, წინასწარ, ზუსტად რომ გაწერილიყო, არც ეს იქნებოდა მართებული. პროგრამით გათვალისწინებული იყო 6 მოდული და ყოველი მოდულის შემდეგ გათვალისწინებული იყო გარკვეული სამუშაოს ჩატარება. მეექვსე შემაჯამებელი მოდული უკვე ფასდებოდა 8 კრედიტით. ჯამში, კვლევის და შემაჯამებელის საშუალებით უნდა დაგროვებულიყო 18 კრედიტი, ეს კი არც ისე ცოტაა. თუ რეკომენდაცია იქნება, რომ კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს კრედიტები, აუცილებლად გათვალისწინებული იქნებოდა. დაწესებულების ხედვით, ორი წლის განმავლობაში უნდა მომხდარიყო ამ კრედიტების დაგროვება. მაგისტრანტი, რომელიც უნივერსიტეტში იქნებოდა დასაქმებული, უნდა შეექმნა კონკრეტული პროდუქტი, თავის სამსახურეობრივ საქმიანობაზე ჩაატაროს კვლევები.

ზაზა მარუაშვილმა მოიწონა წარმოდგენილი პროგრამა და პროგრამის ფარგლებში მოაზრებული სამართლის 6 ერთმანეთისაგან განსხვავებული საგანი. ასევე დადებითად შეაფასა პროგრამის კვლევაზე ორიენტირებულობა.

9. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	გამოყენებითი ფსიქოლოგია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0707
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია წარადგინა ექსპერტმა თინათინ ჭინჭარაულმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია, რომ სამაგისტრო პროგრამაში უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი/განაწილებული სალექციო კურსები კონცენტრაციებთან მიმართებაში; კერძოდ, რა სალექციო კურსებს/რამდენი კრედიტის დაგროვებას მიყავს მაგისტრანტი პოლიტიკური ფსიქოლოგიის ან მართვის/ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალიზაციამდე;
- სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს გამოყენებითი ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ქვე-დარგში - მართვის/ორგანიზაციული ფსიქოლოგია ან პოლიტიკური ფსიქოლოგია სპეციალისტის მომზადებას. სასურველია, რომ კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში დაემატოს შესაბამისი კვალიფიკაცია და სამაგისტრო პროგრამის გავლის შედეგად შესაძლებელი იყოს გამოყენებითი ფსიქოლოგიის მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭება;
- მართალია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები საკმარისად ვრცლად არის გაწერილი, რეკომენდებულია, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტის მიერ შეძენილი კომპეტენციები მეტად მკაფიოდ, დეტალურად და ზუსტად იყოს აღწერილი ისე, რომ უფრო დაკონკრეტებულად განისაზღვროს თითოეული დასახელებული კომპეტენცია;
- პროგრამაში წარმოდგენილია კვლევის მეთოდებისა და სტატისტიკის კურსები, რომლებიც ბაზისურ ცოდნას აძლევენ სტუდენტებს ამ მიმართულებით, რაც შინაარსობრივად საბაკალავრო დონეს უფრო შეესაბამება, ვიდრე — მაგისტრატურას. სასურველია, რომ მოცემული კურსები მოდიფიცირდეს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად;
- სამაგისტრო პროგრამაში შეთავაზებულია პრაქტიკა, როგორც არჩევითი კურსი. პროგრამის ხელმძღვანელის აზრით, პროგრამის ძირითადი მონაწილეები იქნებიან უკვე დასაქმებული ადამიანები, რაც დამატებითი პრაქტიკის საჭიროებას და თვითონ სალექციო კურსების პრაქტიკული ნაწილის სიძლიერეც დამატებითი პრაქტიკის სავალდებულო საგნად ჩასმის აუცილებლობას ხსნის. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობაში არ არის მოთხოვნილი შესაბამისი სფეროში მუშაობის გამოცდილება და/ან მუშაობა, სასურველია, რომ მაგისტრანტები სავალდებულო წესით უზრუნველყოფილ იქნენ შესაბამისი კონცენტრაციაში პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობით.

ექსპერტის თქმით, შეფასების საკითხი ვიზიტის მიმდინარეობისას გამოსწორდა. მისი მოსაზრებით, სასურველი იყო სტუდენტისთვის ნათლად ყოფილიყო ჩამოყალიბებული ეტაპები, როგორ შეძლებდა იგი სასურველ სპეციალობამდე მისვლას. მნიშვნელოვანი იყო, სკოლასა და ხარისხის მართვას შორის ყოფილიყო მეტი თანამშრომლობა შეფასების პრინციპებს შორის.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამსახურისათვის და აღნიშნა, რომ პრაქტიკასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას იზიარებდა. რაც შეეხება, დასახელებას - „გამოყენებითი ფსიქოლოგია“, იგეგმებოდა სახელწოდების შეცვლა. მისაღები იყო შენიშვნა კომპეტენციებთან დაკავშირებითაც, რაც უკვე გასწორებული იყო. ასევე, ადგილზე იქნა გათვალისწინებული მოსაზრება სილაბუსებთან დაკავშირებით.

ნანა გაფრინდაშვილმა მოიწონა პროგრამა და აღნიშნა, რომ მას ჰქონდა მომავალი.

10. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობა
განათლების საფეხური	ბაკალავრი
მისანიჭებელი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
კვალიფიკაცია	ხელოვნებათმცოდნეობაში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1007
კრედიტების რაოდენობა	240

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, ნანა იაშვილმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- სასურველია, ლოგიკურად განისაზღვროს თანაფარდობა საგნების მოცულობასთან დაკავშირებით, კერძოდ, გათვალისწინებული იქნას სასწავლო კურსების თეორიული და პრაქტიკული შინაარსი. მაგალითად, თანაფარდობა საკონტაქტო საათებს შორის 3 და 6 კრედიტიან საგნებს ერთნაირი აქვთ და ორივე შემთხვევაში არის კვირაში ერთი ლექცია 2 საათი. მაგალითად, საგნები: შორეული აღმოსავლეთის ხელოვნება - ჩინეთი,იაპონია; ქართული ლიტონიმქანდაკელობა ან/და ანტიკური კულტურის საფუძვლები - 3/3 კრედიტიანია - სულ 75 სთ (ლექციაზე დასწრება 28 სთ; დამოუკიდებელი მეცადინეობა 20 სთ; გამოცდების მომზადება-ჩაბარება 17 სთ. ნაშრომების მომზადება-ჩაბარება 10 სთ.) ხოლო საგნები: თანამედროვე ქართული ხელოვნება; დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება-სტილი და ეპოქა ან/და საქართველოს სამუზეუმო კოლექციები - 6/6 კრედიტიანია - სულ 150 სთ (ლექციაზე დასწრება 28 სთ; დამოუკიდებელი მეცადინეობა 95სთ; გამოცდების მომზადება-ჩაბარება 17 სთ. ნაშრომების მომზადება-ჩაბარება 10 სთ.). არგუმენტირებული არ არის რის მიხედვით ხდება არასაკონტაქტო საათების სამჯერ გაზრდა... (საგნის ღირებულებითი კატეგორია, დავალება ან სილაბუსებში მოცემული ლიტერატურა ამას ვერ საზღვრავს);
- სასურველია მოხდეს არჩევითი სასწავლო კურსების ნათლად ფორმულირება. კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებს საუნივერსიტეტო, სკოლისა და პროგრამის ძირითადი კომპონენტების გარდა 6 თავისუფალ კრედიტს. პროგრამას არ ახლავს იმ არჩევითი საგნების სია, საიდანაც სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს თავისუფალი კრედიტების შესაბამისი საგნები. სავალდებულო წესით პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია არჩევითი 12 კრედიტი, სადაც საგნების ნუსხა მხოლოდ უცხო ენის არჩევას სთავაზობს სტუდენტს, ამდენად, 240 კრედიტიან პროგრამაში 6 თავისუფალი კრედიტი ცოტაა, ხოლო პროგრამის მიზანის განსახორციელებლად კარგი იქნებოდა ისეთი საგნების შეთავაზება როგორც არის მაგ. ზოგადი და შემოქმედების ფსიქოლოგია, ფერმცოდნეობა, კულტუროლოგია ... გასათვალისწინებელია აგრეთვე დამსაქმებლის მოთხოვნა მაგალითად პრაქტიკული კომპონენტის შემცველი სპეციალური საგნის, დაცვა-აღრიცხვის დოკუმენტაცია. პროგრამა ითვალისწინებს კონცენტრაციას კულტურის მენეჯმენტში ან დამატებით სპეციალობას;
- სასურველია, საგნის მოცულობის გათვალისწინებით მოხდეს აღნიშნული სასწავლო კურსის 2 სემესტრად სწავლება. საგანი - მსოფლიო ხელოვნების ისტორია ზოგადი კურსი მოიცავს 6 კრედიტს, კვირაში 2 საათი ერთი სემესტრის განმავლობაში (28 საკონტაქტო საათი). სასწავლო კურსის ფარგლებში განხილულია ძველი აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების

სახვითი ხელოვნების განვითარების ძირითადი ეტაპები პრეისტორიული ეპოქიდან მეოცე საუკუნემდე; სილაბუსის გაცნობის შემდეგ დაფიქსირდა ზოგადი კურსის მეტად მოცულობითი მასალის აკუმულირება ერთ სემესტრში. სადაც სტუდენტი მოახერხებს მხოლოდ ზედაპირულად მიმოიხილოს ინფორმაცია და რასაკვირველია ეს ვერ იქნება სწავლის შედეგებში დაფიქსირებული მონაცემთა ან კრიტიკულ ანალიზზე გასვლის საფუძველი;

- კულტურის მენეჯმენტის კონცენტრაციაში არის ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა ქართული ხუროთმოძღვრება, ლიტონმქანდაკეობა. ეს კურსები მიზანშეწონილია იყოს ძირითადი სპეციალობის საგნებში;
- სასურველია, ხატვის თუნდაც პირველი ორი მეცადინეობა დაეთმოს გეომეტრიული ფიგურების დახატვას. აღსანიშნავია საგანი - ხატვა, რომელიც ისწავლება ერთი სემესტრის განმავლობაში, კვირაში 2 სთ. 28 საკონტაქტო საათი. სასურველია დავალებები გაიწეროს მარტივიდან რთულისკენ და აკადემიური ხატვის თუნდაც პირველი ორი მეცადინეობა დაეთმოს გეომეტრიული ფიგურების დახატვას (არსებულ სილაბუსში ხატვა იწყება ნატურიდან საგნის ჩახატვით), რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს შეიძინოს შესაბამისი უნარები (გაერკვეს სამგანზომილებიანი სივრცითი სხეულის სიბრტყეზე დაგეგმარების პრინციპებში, ჭრილი, ხედები და სხვა);
- სასურველია დაზუსტდეს საგნის მისაღწევი შედეგები. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიზნობრივი გამოყენების უნარი - ამ უნარზე საგანი ხატვა ვერ გადის და არც უნდა გადიოდეს, ვინაიდან ტექნოლოგია, რომელიც გამოყენებულია ამ დისციპლინის შესწავლისას არის ტრადიციული ფანქრის და ტუშის ინსტრუმენტით ქაღალდზე ინფორმაციის გადატანის უნარი;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამები და ინტერნეტი - საგანი ისწავლება ერთი სემესტრი და მოიცავს 3 კრედიტს 28 საკონტაქტო საათით. სასურველია სილაბუსში დამატოს სპეციალური საპრეზენტაციო პროგრამა - Microsoft PowerPoint. რომელშიც ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი გავა რეფერატების პრეზენტაციის უნარზე, მითუმეტეს, რომ საგანი - აკადემიური წერა, მეთხუთმეტე ლექციაზე ითვალისწინებს დავალების Microsoft PowerPoint-ში აწყობას;
- სტუდენტი ხელოვნების ნიმუშების ანალიზს არ შეისწავლიან; კურიკულუმში გათვალისწინებული არაა საგანი - ხელოვნების ნაწარმოების მხატვრულ-სტილისტური ანალიზი არც დამოუკიდებელ სასწავლო კურსად, არც თეორიული სასწავლო კურსების ფარგლებში. მაგალითად "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"- მიზანი: *გამოუმუშაოს სტუდენტებს სხვადასხვა კულტურული სისტემის მხატვრულ ქმნილებათა მსგავსება-განსხვავების სწორი ხედვისა და მხატვრული შეფასების ჩვევა.*
- სასურველია მეტი დრო დაეთმოს სტუდენტის მიერ რეფერატის პრეზენტაციის მომზადებას ახალი ციფრული ტექნოლოგიებით (ფოტოგრაფირება, Microsoft PowerPoint);
- ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში ჩართულ ყოველ სასწავლო კომპონენტს, გარდა საბაკალავრო ნაშრომისა (რომლისთვისაც არსებობს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ზოგადი ინსტრუქცია), გააჩნია შესაბამისი სილაბუსი, რომელშიც ნათლად არის გაწერილი კურსზე დაშვების წინაპირობა, კურსის მიზნები, შედეგები, ამ შედეგების მიღწევის მეთოდები, შეფასების სისტემა, სასწავლო მასალის შინაარსი და თემატიკა. თუმცა, ზოგიერთ სილაბუსში - ახლო აღმოსავლეთის ისტორიის და ცივილიზაციის პრერეკვიზიტში მითითებული საგანი "შესავალი მსოფლიოს ისტორიაში" არ ისწავლება. კურიკულუმში ითვალისწინებს საგნებს: შესავალის მსოფლიო ისტორიაში I და შესავალი მსოფლიო ისტორიაში II;
- სასურველია გასწორდეს წინაპირობების უზურსტობა ბერძნულ ენასთან დაკავშირებით;

- საკანონმდებლო ბაზის შესწავლისას უნდა ისწავლებოდეს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- აკადემიური წერის სწავლებისას უნდა ისწავლებოდეს უნივერსიტეტის აკადემიური წერის სტანდარტი;
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის გამრავალფეროვნებაზე. მხოლოდ ერთი პროფესორისა და ერთი ასოცირებული პროფესორის ხარჯზე პროგრამის ეფექტური განხორციელება ვერ იქნება უზრუნველყოფილი;

აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, გიორგი ცხვედიანმა გააკეთა განმარტება - რომ განსახილველი პროგრამები ითვალისწინებდა 60 კრედიტიანი მასწავლებლის პროგრამის არჩევის შესაძლებლობასაც. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული იყო როგორ ხდებოდა მასწავლებლის მომზადება და ამ შემთხვევაში პროგრამების მიმართულებით კანონი არ ითვალისწინებდა მასწავლებლის მომზადებას.

საბჭოს წევრმა ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში საბჭოს არ უნდა განეხილა პროგრამები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო ხელოვნების მასწავლებლის მომზადება, ხოლო ჟურნალისტიკის პროგრამა არ ითვალისწინებდა 60 კრედიტის გავლის შესაძლებლობას.

ნინო ბერელიძემ აღნიშნა, რომ ხელოვნებათმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა ვერ უზრუნველყოფდა პირისთვის იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მიცემას რაც აუცილებელი პირობა იყო დაწყებითი /საბაზო/საშუალო საფეხურის ხელოვნების მასწავლებლისთვის. ხელოვნების მასწავლებლის ცოდნა, უნარები და ღირებულებები დადგენილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით და მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 24 ოქტომბრის N923 ბრძანებით დამტკიცდა „მასწავლებლის განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი“ რომლის თანახმად, დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება ხდება ბაკალავრიატის ფარგლებში, ხოლო საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება შესაძლებელია როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი საფეხურის ფარგლებში, ასევე დამოუკიდებლად. მახასიათებელში მოცემულია კრედიტების გადანაწილების ზოგადი წესი და სწავლის შედეგები. მახასიათებლის მოთხოვნების თანახმად პროგრამის კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ცოდნას და სწავლების მეთოდიკას. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირება საბაკალავრო პროგრამაში მიზნად ისახავს საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადებას, რის მიხედვითაც სამომავლოდ ხდება მასწავლებლის დასაქმების სფეროს განსაზღვრა. რაც შეეხება საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივ ჯგუფს, აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. ამასთან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** და გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანებით დამტკიცებულია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ ცოდნასა და

უნარ-ჩვევებს, მათ შორის, საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის მასწავლებლის პროფესიულ ცოდნას. შესაბამისად:

- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი უნდა იყოს არა მხოლოდ ზოგადი პედაგოგიკის საფუძვლები და სწავლების მეთოდика, არამედ ეროვნული სასწავლო გეგმით დამტკიცებული კონკრეტული საგნის/საგნობრივი ჯგუფის ცოდნა და სწავლების მეთოდика. შესაბამისი შედეგის მიღწევა კი შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ თუ:

ა) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ინტეგრირებული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით დამტკიცებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამის საბაკალავრო პროგრამაში;

ბ) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრება ეროვნული სასწავლო გეგმით დამტკიცებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ფლობა.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დამოუკიდებელი 60 კრედიტის პროგრამაა, რომელიც გადის აკრედიტაციას დამოუკიდებლად, მაშინ სავალდებულოა პროგრამაში მიეთითოს ის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებთანაც შესაძლებელია მისი ინტეგრირება; აღნიშნული პროგრამების ჩამონათვალი განისაზღვრება, იმ საგნით/საგნობრივი ჯგუფით, რომლის სწავლების მეთოდिकासაც სთავაზობს მასწავლებლოს მომზადების პროგრამა.

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტს შესთავაზოს ნებისმიერი სასწავლო კურსი, რომელიც ხორციელდება მის ფარგლებში და ფარგლებს გარეთ. ამდენად, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამიდან კონკრეტული სასწავლო კურსების შეთავაზება თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში სრულებით დასაშვებია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალ კომპონენტს მასწავლებლოს მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არ უნდა ერქვას და სტუდენტს არ უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ დიპლომში ეს აისახება;

- „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს - „ბაკალავრი“, შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით. საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტს შეუძლია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით: ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები; ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები; ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა. „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალი“ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არ არის მოხსენიებული. შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არ არის უფლებამოსილი სტუდენტს ეს პროგრამა შესთავაზოს, როგორც დამატებითი სპეციალობა. აქვე აღსანიშნავია, ისიც რომ „დიპლომის ფორმაში“ არსებობს რეკვიზიტი „დამატებითი სპეციალობა“ თუმცა, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დიპლომში აისახება არა, როგორც დამატებითი სპეციალობა, არამედ როგორც დამატებითი ინფორმაცია;

დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ექსპერტებისგან არ გაჟღერებულა აღნიშნული, წინააღმდეგ შემთხვევაში ექნებოდათ შესაბამისი პასუხი, ისინი ასევე დაინტერესდნენ რა

ბედი ეწოდა სხვა პროგრამებს, რომლის წარმოება მიმდინარეობდა ცენტრში, ნიწო ბერელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამებს ამ მიმართულებით პრობლემა არ შეექმნებოდათ.

საბჭომ იმსჯელა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მომდევნო სხდომისათვის გადადო შპს - საქართველოს უნივერსიტეტის განსახილველი საკითხები.

11. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ფსიქოდიაგნოსტიკისა და კონსულტირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება

განათლების საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სწავლების ენა

კვალიფიკაციის კოდი

კრედიტების რაოდენობა

ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება

დოქტორანტურა

ფსიქოლოგიის დოქტორი

ქართული

0707

180

სხდომას გაუძღვა ნანა გაფრინდაშვილი.

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ლილი ხეჩუაშვილმა და თინათინ ჭინჭარაულმა.

ექსპერტის თქმით, წარმოდგენილი პროგრამა არსებული სახით ვერ უზრუნველყოფდა ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალების, მკვლევარი ფსიქოლოგების მომზადებას, იგი, ძირითადად, მიზნად ისახავდა პრაქტიკოსი კლინიცისტების მომზადებას.

წარმოდგენილ პროგრამაში შეთავაზებული კურსები „კოგნიტურ-ბიჰევიორალური თეორია და პრაქტიკა“ და „კვლევის მონაცემების დამუშავება კომპიუტერული პროგრამა SPSS-ით“ არ შეესაბამებოდა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის მოთხოვნებს. აგრეთვე, სასწავლო კურსებს „დარგობრივი უცხო ენა 1“ და „დარგობრივი უცხო ენა 2“ საერთო საუნივერსიტეტო სასწავლო კურსის სტატუსი ჰქონდა, შინაარსობრივად ზოგად ხასიათს ატარებდა და არ ითვალისწინებდა დარგობრივი ტერმინოლოგიის შესწავლას, ამდენად არსებული სილაბუსები და მათში მითითებული საკითხავი ლიტერატურა ნაკლებად შეესატყვისებოდა დარგობრივი ენის სწავლების პროცესსა და მიზნებს.

ექსპერტის თქმით, არსებითი იყო ისიც, რომ პროგრამაზე დაშვების ერთერთი წინაპირობა იყო უცხო ენის B 2 დონეზე ცოდნა, თავად პროგრამაში კი შეთავაზებული იყო B.1.1 და B.1.2. დონის უცხო ენა, რაც შეუსაბამობაში მოდიოდა მიღების წინაპირობასთან.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მთლიანობაში საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ვერ უზრუნველყოფდა პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში წარმოდგენილი მესამე საფეხურის სწავლის შედეგების შესაბამისად, ვერც პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგები უზრუნველყოფდა კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზარზე. ერთის მხრივ, პროგრამაში გაწერილი შედეგები, პროგრამის აღწერილობა და შინაარსი (სასწავლო კურსები და მათი ერთობლიობა) ვერ უზრუნველყოფდა კვალიფიკაციას, რომელიც საკმარისი იქნებოდა კონკურენტუნარიანი მკვლევარი ფსიქოლოგის მომზადებისათვის და ამასთან, არც ერთმანეთთან იყო შესაბამისობაში.

ექსპერტმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ პროგრამაში შემავალი სპეციალობის ოთხივე სასწავლო კურსში დასახელებული იყო ერთიდაიგივე მეთოდები, რაც სრულად ვერ უზრუნველყოფდა სადოქტორო პროგრამისათვის დასახული მიზნების მიღწევას.

ექსპერტის თქმით, ლოგიკური იყო თავად კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები, თუმცა, თავად სასწავლო კომპონენტების შინაარსი ვერ უზრუნველყოფდა სწავლის შედეგებში აღწერილი მიზნების მიღწევას. ასევე

ვერ იქნებოდა შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებული სადოქტორო სემინარის, კოლოქვიუმისა და პრიოფესორის შეფასების სისტემით. აღნიშნული აუცილებლად საჭიროებდა გადახედვას და დაკონკრეტებას.

ზოგიერთ სილაბუსში (მაგალითად, კვლევის მონაცემების დამუშავება კომპიუტერული პროგრამა SPSS-ით) ძირითად საკითხავად მითითებულია სახელმძღვანელოები, რომლებიც საბაკალავრო დონის სწავლებისთვის იყო განკუთვნილი და ამასთან, სილაბუსებში არ იყო წარმოდგენილი ბოლო წლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები კურსის შინაარსისათვის რელევანტური მიმართულებებით. ასევე, ზოგიერთ სილაბუსში (მაგალითად, „ფსიქოლოგიური კონსულტირების თეორიებისა და ტექნიკის კრიტიკული ანალიზი“) მითითებული იყო დიდი რაოდენობით (20-მდე) სავალდებულო და (38-მდე) დამხმარე ლიტერატურა, ძირითადად, უცხო ენებზე, რაც ერთსემესტრიანი კურსის ფარგლებში პრაქტიკულად დაუძლეველია.

ექსპერტის თქმით, პროგრამის შემთხვევაში თითქმის არ იყო კვლევითი კომპონენტი სახეზე, ვერ დაინახეს კვლევის შინაარსი, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე იყო გაწერილი ინსტრუქციები სადისერტაციო ნაშრომებისთვის. შესაბამისი დოკუმენტი არ ითვალისწინებდა პროგრამის სპეციფიკურობას. მისი თქმით, წარმოდგენილი პროგრამა ორიენტირებული იყო კლინიკისტების და არა მკვლევრების მომზადებაზე.

ექსპერტმა დაამატა, რომ გასაუბრების შედეგად გაცილებით მეტი ინფორმაცია მიიღეს ექსპერტებმა, ვიდრე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთებოდა, თუმცა, ვინაიდან საბჭომ გააჟღერა პოზიცია, რომ უნდა დაყრდნობოდნენ ფაქტობრივ მასალებს და შემდეგ გამოსწორებული მხედველობაში აღარ მიეღოთ, აღარ გაითვალისწინეს ის, რაც ზეპირად გაჟღერდა.

ნანა გაფრინდაშვილმა სთხოვა ექსპერტს დაზუსტება, კვლევის კონცეფციის არასათანადოდ წარმოდგენასთან დაკავშირებით, კონკრეტულად რას მოიაზრებდა ის. მისი მოსაზრებით, არ იყო აუცილებელი დასაწყისშივე თემატიკის მითითება, პროგრამის განმახორციელებლების კვალიფიკაციიდან გამომდინარე მოგვიანებით შეიძლებოდა ამისი დაზუსტება. ასევე, შესაძლოა, პროგრამის სათაური უზრუნველყოფდა აღნიშნულის დაზუსტებას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვინაიდან წარმოდგენილ შემთხვევაში საუბარი იყო კონკრეტულად ფსიქოდიაგნოსტიკასა და ფსიქოკონსულტირებაზე, ზოგადად ფსიქოლოგია კი ძალიან ფართო სფეროა, პროგრამაში რაღაც თემატიკა აუცილებლად უნდა ყოფილიყო შემოსაზღვრული, რა მიმართულებითაც შეიძლებოდა კვლევის განხორციელება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლმა საბჭოს მოახსენა, რომ როდესაც ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ წარმოდგენილი პროგრამა ვერ უზრუნველყოფდა ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას 1.1 სტანდარტის შეფასების ნაწილში, აღნიშნულს აკონკრეტებდნენ 1.2 სტანდარტის შეფასების ნაწილში. ექსპერტებს ასეთი შეფასებისას მხედველობაში ჰქონდათ სულ ორი სასწავლო კურსი. მთლიანად პროგრამა ოთხი ძირითადი სილაბუსით იყო წარმოდგენილი, ექსპერტებს კი კონკრეტულად ორი მათანი ჰქონდა მხედველობაში. წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი ერთადერთი ფსიქოთერაპიული მეთოდი იყო, რაც გულისხმობდა კონკრეტულ ფაქტებზე დამყარებულ კვლევას, სწორედ ამას მოიაზრებდა კოგნიტურ-ბიჰევიორალური ფსიქოთერაპიული მეთოდი, ეს გახლდათ ევროპული მიდგომის მოთხოვნა. ამ შემთხვევაში, შეკითხვები, წესით, არ უნდა დარჩენილიყო. ასეთი სახით იყო წარმოდგენილი კვლევა ყველა ევროპულ მოდულში,

რომელიც კვლევაზე იყო ორიენტირებული. ამ შემთხვევაში, პროგრამები სხვადასხვა საფეხურებზე იყო აგებული, რომ ბმა ყოფილიყო ერთიდან მეორეზე.

SPSS-ის სწავლებასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა სააკრედიტაციოდ მეორედ იყო წარმოდგენილი, პირველი ვიზიტის შემდეგ, მიიღეს დასკვნა, რომელიც შენიშვნებით იყო დატვირთული, ამდენად, შეწყვიტეს წარმოება, სხდომაზე აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე განხილვამდე. წარმოდგენილი სასწავლო კურსის შემთხვევაში გათვალისწინებული ჰქონდათ ექსპერტის მოსაზრებები, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული სილაბუსის ავტორი ეწინააღმდეგებოდა აღნიშნულს.

საბჭო დაინტერესდა, მიზანშეწონილი იყო თუ არა ასეთი მეთოდით კვლევა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო, თუმცა, ეს იყო ძალიან რთული მიდგომა, იმდენად, რამდენადაც, საჭიროებდა ბევრი შემთხვევის გაანალიზებას.

ნანა გაფრინდაშვილის მოსაზრებით, ნებისმიერი რთული მეთოდი მისაღები იყო სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ რთული მოსაძებნი იყო დოქტორანტი, რომელსაც ექნებოდა ვიწრო სპეციალიზაცია და ასევე, უცხო ენის სათანადო დონეზე ცოდნაც. მისი მოსაზრებით, B 2 დონე სავსებით საკმარისი იყო საჭირო ლიტერატურის მოსაძიებლად და სათანადო მიზნით გამოსაყენებლად.

ნანა გაფრინდაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს დაუზუსტა, რომ შენიშვნა შეეხებოდა პროგრამაში B.1.1. და B.1.2. დონის სასწავლო კურსების შეთავაზებას, მაშინ, როდესაც პროგრამაზე დაშვების წინაპირობადაც გათვალისწინებული იყო 2 დონე.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა საბჭოს განუმარტა, რომ პროგრამაში B.1 დონის უცხო ენის შეთავაზებით მეორე უცხო ენის დაუფლების საშუალებას აძლევდნენ სტუდენტებს.

ექსპერტის თქმით, ზემოაღნიშნული პროგრამიდან ცალსახად არ დასტურდებოდა. ექსპერტმა აგრეთვე განაცხადა, რომ წარმოდგენილი კვლევითი კომპონენტი კვლავ დიაგნოსტიკას და კლინიკურ შეფასებას ეხებოდა. აქ შესაძლოა, საქმე ჰქონდათ იმასთან, რომ ცნებითი აპარატი ჰქონდათ განსხვავებული. კლინიკური კვლევა სრულიად სხვა რამ იყო.

ზაზა მარუაშვილი დაინტერესდა, კველვის მეთოდი რამდენად ცვლიდა კველვის პროდუქტს.

ექსპერტმა ლილი ხეჩუაშვილმა აღნიშნა, რომ მეთოდი პროცესისთვის თვალის გადევნებას გულისხმობდა. კლინიკური კვლევა შეიძლებოდა ყოფილიყო ექსპერიმენტალური დიზაინის. აქ არ იყო პრინციპული განსხვავება, თერაპიული მეთოდი იყო დიაგნოსტიკა.

დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით ამ შემხტვევაში დავა მიმდინარეობდა ორ მეცნიერულ შეხედულებას შორის. აქ უნდა გამოყენებულიყო მიდგომა - სრულიად დისერტაბელურია, როდესაც წმინდა კლინიკურ გამოკვლევებზეა დაფუძნებული. არავის არ აუკრძალავს, რომ კლინიკური კვლევები შემდგარიყო სადოქტორო პროგრამით, მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა გაცილებით მეტ ძალისხმევას მოითხოვდა. ამ შემთხვევაში, არ შეიძლებოდა ერთ ან მეორე მეთოდს უპირატესობა მინიჭებოდა, სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში ორივე შეიძლებოდა გამოყენებულიყო. დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ სურდა გამოეხატა დიდი პატივისცემა ექსპერტების მიმართ, რადგან კარგად არგუმენტირებული, ჩამოყალიბებული პოზიცია ჰქონდათ, თუმცა, მისი მოსაზრებით, მკვლევარს შეეძლო ერთი ან მეორე მეთოდი თავისუფლად აერჩია, თუნდაც ეს არ ყოფილიყო პრაქტიკაში კარგად აპრობირებული, ამ

შემთხვევაში ეს იქნებოდა ნოვაცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ არ უარყოფდა მეთოდს, მისი დისერტაციის შემთხვევაში წარმოდგენილი იყო გამოკვლევა და კვლევა ერთად, ორივე მეთოდს იყენებდა, თუმცა, აქ სხვა პრობლემასთან ჰქონდათ საქმე, პროგრამიდან არ ჩანდა, დოქტორანტი გამოკვლევიდან კვლევამდე როგორ მიდიოდა.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ ეს შეიძლება დისერტაციის პროცესში გამოჩენილიყო. ჰკითხა ექსპერტს, კონკრეტულად თუ შეეძლოთ რომელიმე სასწავლო კურსის დამატების შესახებ რჩევის მიცემა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო პროგრამაში სწორედ იმ აპარატის შემოტანა, რომელიც გამოკვლევიდან კვლევამდე მიიყვანდა დოქტორანტს, აუცილებელი იყო თემატურად კვლევის მეთოდოლოგიის გაძლიერება.

ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ ჯერ აუცილებელი იყო გამოკვლევა, შესწავლა, ხოლო შემდეგ - განზოგადება.

მამია ჯანჯალიამ მიმართა ექსპერტებს, მთლიანობაში შეეძლოთ თუ არა გაეკეთებინათ დასკვნა, რამდენად იყო პროგრამა შედეგზე ორიენტირებული.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში კლინიცისტები მზადდებოდნენ და არა მეცნიერ-მკვლევრები. აღნიშნული დოქტორანტებთან გასაუბრებამაც დაადასტურა, სამიდან ხმოლოდ ერთი დოქტორანტის თემა და კვლევითი ინტერესი შეესაბამებოდა პროგრამას. სხვა შემთხვევებში კვლევები შეეხებოდა ჰუმანისტურ პედაგოგიკას და მოტივაციას. ამდენად, ასეთი სახით პროგრამას მხარს ვერ დაუჭერდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა ვერ მოამზადებდა კლინიცისტ ფსიქოლოგებს, ამას უფრო მეტი კრედიტი და მინიმუმ ცამეტი დისციპლინა სჭირდებოდა, აქ მხოლოდ კვლევაზე ორიენტირებულობის პრინციპით იყო ის წარმოდგენილი.

ზაზა მარუაშვილი დაინტერესდა, რომელი პროგრამის ანალოგი იყო შემოთავაზებული პროგრამა.

ექსპერტმა, ლილი ხეჩუაშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოდგენილი იყო კონკრეტულად კვლევაზე და მკვლევარზე ორიენტირებული პროგრამა, შეეძლოთ ვებ-გვერდის მეშვეობით მისი მოპოვება, ის არ იყო დაინტერესებული, რომ პროგრამას არ ეარსება, მისი სურვილი იყო პროგრამას გამართული სახით ეფუნქციონირა.

ზაზა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ სერიოზული დისკუსია გაიმართა და მოხარული იყო, რომ ასეთ პროფესიონალურ მსჯელობასთან ჰქონდათ საქმე. არავისთვის არ იქნებოდა სასიამოვნო ამ ფასად პოზიციის დაცვა, მართლაც წარმოჩინდა, რამდენად ჩამოყალიბებული პოზიცია ჰქონდათ ექსპერტებს, თუმცა, მოუწოდა მათ, არგამოეჩინათ სიხისტე. მისი თქმით, რომ ცალსახად გასათვალისწინებელი იყო ექსპერტის მითითება უცხო ენის კომპონენტთან დაკავშირებით, ასევე, ზემოხსენებულ ორ სილაბუსთან მიმართებაში. მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, გადაეხედათ თავიანთი პოზიციისთვის, გაეგრძელებიათ კონსულტაციების რეჟიმი. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მართლაც იყო პროგრამაში ნიუანსები თუმცა, მისი მოსაზრებით, მათ არსებითი ხასიათი არ ჰქონდა და პროგრამას უნდა მისცემოდა განვითარების შესაძლებლობა.

20:20 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 20:30 საათზე.
სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის მეორე ნახევარში
მიღებული გადაწყვეტილებები:

- ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბიზნესის
ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6;
წინააღმდეგი-0);
- ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გამოყენებითი
ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6;
წინააღმდეგი-0);
- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის ფსიქოდიაგნოსტიკისა და კონსულტირების სადოქტორო
პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი-0);

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 20:35 საათზე სხდომა
დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირაკლი მაჩაბელი



მდივანი
მაია ჩიხლაძე

